ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 53

(CPV – 80510000)

ქ. თბილისი „1 "სექტემბერი„" 2021 წ

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო "** (შემდგომში„შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ველთაურის სახით, იურიდიული მისამართი: თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9 და მეორეს მხრივ, **ააიპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი** (შემდგომში „მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბენაშვილის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. რუსთავი შ.რუსთაველის ქ., კორ. 26, ბ. 13.

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.1 შემსყიდველმა გამოაცხადა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო "-ს საჭიროებისათვის სატრენინგო (სამეწარმეო კომპეტენცია) მომსახურების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT210012727** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება 14464 (თოთხმეტი ათას ოთხას სამოცდაოთხი) ლარად.

1.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი დღგ-ს ჩათვლით.

2.ხელშეკრულების შესრულებისკონტროლი

2.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან, მათ შორის, ხელშეკრულების დანართ №1-თან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. გაწეული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან, მათ შორის, ხელშეკრულების დანართ №1-თან (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა და მის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

3.შესყიდვის ობიექტისმახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1. მომსახურების გაწევის პირობები, ვადები და მიწოდების ადგილი მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად;

5.2. ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი გაწეული მომსახურების ხელშეკრულების, მათ შორის, დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს გაწეული მომსახურების შემოწმებას და ადგენს შესაბამის ინსპექტირების დასკვნას.

5.3.იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების, მათ შორის, დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო, თუ მომსახურების მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების, მათ შორის, დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს მომსახურება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საკუთარი ხარჯით გამოასწოროს წუნდებული მომსახურების ხარისხი.

5.4. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 დღისა შემსყიდველს წერილობით უნდა წარუდგინოს სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო " -ს მიერ განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნა, მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან").

5.5. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

6. ანგარიშსწორება

6.1.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება განხორციელდება ინსპექტირების დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“) საფუძველზე, საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1.გაუწიოს „შემსყიდველს“ მომსახურება კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და ხარისხიანად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს, ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება

განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებისთვის საჭირო საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. თუ მომსახურების პროცესში აღმოჩნდება, რომ საჭიროა ისეთი მომსახურების ან სათადარიგო ნაწილის შესყიდვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულების დანართში #1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1), ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს ხელშერკრულებაში ცვლილება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. გაუთვალისწინებელი მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილის ერთეულის ფასის განსაზღვრა ხდება შემსყიდველთან შეთანხმებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საბაზრო ფასს, ხოლო გაუთვალისწინებელი მომსახურების ან სათადარიგო ნაწილის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს .

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12.ხელშეკრულების შესრულებისშეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13.ხელშეკრულებისპირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული ვადისა და ხელშეკრულების დანართი #1-ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების 0.03%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 0.03 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას, აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რომელიც შემსყიდველს მიადგება უხარისხოდ ან/და არაჯეროვნად გაწეული მომსახურების შედეგად, ზიანის დადგენა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“	**ააიპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი**
მის: ქ.თბილისი, მ. ასათიანის 9	მის: ქ. რუსთავი შ.რუსთაველის ქ., კორ. 26, ბ. 13.
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი:სს თი ბი სი ბანკი
ბ.კ: TRESGE22	ბ.კ: TBCBGE22
ანგ. ნომერი: GE24NB0330100200165022	ანგ. ნომერი: GE52TB7423436080100007
ს/კ 200293315	ს/კ 416329761

LEPL STATE EMPLOYMENT SUPPORT AGENCY

Date: 2021.09.01 11:10:38 +04'00'

Giorgi Benashvili

Digitally signed by Giorgi Benashvili
Date: 2021.09.01 12:55:04 +04'00'

დანართი №1

N	დასახელება	ტექნიკური პირობა	მსმენელთა საორიენტაციო რაოდენობა	ერთეულის ფასი (ერთი სატრენინგო დღის ფასი ერთი მსმენელის)	ერთეულის ფასი (16 სატრენინგო დღის ფასი ერთი მსმენელის)	საერთო ღირებულება	მიწოდების გაწევის ვადა
1	სამეწარმეო კომპეტენცია	1. არა მარტო ინდივიდუალურად, არამედ გუნდში კოლაბორაციულად მუშაობა, რესურსების მობილიზება (ადამიანები და საგნები) და მდგრადი საქმიანობა; 2. ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება; 3. ეფექტური კომუნიკაცია და მოლაპარაკებები, ასევე გაურკვევლობების, ბუნდოვანებისა და რისკებისადმი გამლავება; 4. სხვების მოტივირების სურვილი და მათი იდეების დაფასება, თანაგრძნობა და ადამიანებსა და სამყაროზე ზრუნვა; 5. ყველა პროცესისადმი ეთიკურად მიდგომის პასუხისმგებლობა. სამეწარმეო კომპეტენცია ხელს უწყობს სხვადასხვა სამეწარმეო მახასიათებლის განვითარებას, მათ შორის: 1. შესაძლებლობების ძიებას; 2. მუშაობის ვალდებულებას; 3. რისკის აღებას; 4. მიზნების დასახვას; 5. ინფორმაციის ძიებას; 6. სისტემატურ დაგეგმვას და მონიტორინგს; 7. თავდაჯერებულობას	80	11.3	180.8	14464	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნის დაფიქსირებიდან (რაც გულისხმობს მსმენელთა რაოდენობის, მათ შორის სახელი და გვარის, ასევე მომსახურების გაწევის ადგილების მითითებას) არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით,

შენიშვნა : სამეწარმეო კომპეტენციის ონლაინ სატრენინგო კურსი უნდა შედგებოდეს 16 სატრენინგო დღე ჯამში 48 საათიანი (კვირაში 3 დღე, 3 საათიანი ტრენინგი) სალექციო კურსისგან; ჯგუფები შედგება მაქსიმუმ 15 მსმენელისგან; პრეტენდენტი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან სატრენინგო მოდული და ტრენინგების დასრულების შემდეგ მსმენელების ტესტირების შედეგების მიხედვით გადასცეს შესაბამისი სერთიტიფიკატი;